

მოგზაურობა დროსა და ენაში

ავტორი [ირმა ტაველიძე](#)

წიგნების მაღაზიაში ლიტერატურული ჟურნალის საყიდლად შესულმა ხელს გამოვაყოლე. უფრო იმიტომ, რომ მოსწავლეობის წლები და უტოპიური იდეებით, შეუძლებელი სამყაროების მშენებლობით, მშენებლების წარმატებისა თუ წარუმატებლობის ისტორიებით გატაცება გამეხსენებინა. ბევრი რამ მაშინვე სახალისოდ მეჩვენებოდა – რასაც საბჭოთა ეპოქის მწერლები წერდნენ კაცობრიობის მომავალზე, ადამიანის გიგანტურ ნახტომებზე. ნამდვილი თუ გამოგონილი სევდა, მეტისმეტი სერიოზულობა, იდეოლოგიის ხილულ ზღუდეებთან ერთად, მათ ყოველთვის ხელს უშლიდა, გზაკვალს ურევდა, შეცდომების დაშვებისკენ უბიძგებდა. სხვა საუკუნეზე წერისას უმთავრესად საკუთარს აღწერდნენ – საპყრობილეში გამოკეტილის მარტივად გასაშიფრი იდეოგრამებით, სასოწარკვეთით.

„დროთა კავშირი – მე-20 საუკუნის ქართული ფანტასტიკური მოთხრობები“ ახლად დაარსებული გამომცემლობის, „მედუზას“ პირველი წიგნი აღმოჩნდა. ნუგზარ აფხაზავას, შოთა გაგოშიძის, ელგუჯა მერაბიშვილის, ბორის მიშველაძის, ზაალ ტაბაღუას, ედიშერ ყიფიანის მოთხრობებს, ცხადია, უკვე სხვა თვალთა კვითხულობდი – ავტორებს აღარაფერს ვსაყვედურობდი, აუღელვებლად დავყვებოდი ყველგან და მათ ენას, თხრობის თავისებურებებს ვაკვირდებოდი.

ზაალ ტაბაღუას მოთხრობაში „მუტანტები“ აღწერილი მომავლის სურათი: „უზარმაზარ მოედანს თითქმის ორასი მეტრის სიგანის, ლარივით გაჭიმული, ცათამბჯენებით შემოსაღებული ათი ქუჩა უერთდებოდა, მოედანზე და ქუჩებზე, ყველგან, თვალსაწიერამდე პლაზმობუსები, სხვადასხვა ფერისა და ფორმის პლაზმომობილები იდგა. უფრო სწორად, ჭერების ქვებივით ეყარა...“. რა აღარ წარმოვიდგინე, უცხო სატრანსპორტო საშუალებების რა სახე და მოყვანილობა, სანამ ბოლო სიტყვებმა მშობლიურ შიდა ქართლში არ დამაბრუნა, სოფლის მდინარესთან, გაზაფხულის მზით შემთბარ სანაპიროსთან. მომავალი წამში გადაიქცა მონატრებულ წარსულად.

რამდენიმე გვერდის შემდეგ კი რაღაც ისეთს გადავაწყდი, რის გამოც კიდევ უფრო სწრაფად აღმოვჩნდი ერთი დროიდან მეორეში. „ხელის ფათურით ამოვიღე კომბინეზონის ჯიბიდან ჰერმეტიკული მათარა, – ჰყვება მთავარი გმირი გუა, – ღილაკს თითი დავაჭირე და მოვიყუდე. მომწარო სითხემ მთელ სხეულში დამიარა და სასიამოვნო სითბო ვიგრძენი. სული მოვითქვი და ისევ მოვსვი ჩვენებური „გრემი“. ვის არ გაამხიარულებდა ეს მოულოდნელობა, ვის არ გაუჩენდა იმ განცდას, რომ კოსმოსური ხომალდიდან გადმოგდებული, იმწამსვე საბჭოთა მოქალაქეების ქორწილში გაჩნდა. ვაზაში ჩაწყობილი წითელი მიხაკები. რომბისებურად დაჭრილი ნამცხვარი „იდუალი“.

სხვა მოთხრობა. ედიშერ ყიფიანის „დროთა კავშირი“.

„- ჩამომიტანეთ წითელი ღრუბელი? – გაიცინა მან და მორცხვობამ კიდევ ერთხელ შეუწითლა ლოყები.

– გახსოვს?!

– არა, დედა მეუბნებოდა...

– ვერ ჩამოგიტანე, სულ გაყიდული იყო! – გავეხუმრე მე.

– არც ცისფერი? – ამყვა ნაი.

– ცისფერი შენ არ დაგიბარებია, თორემ იყო. რომ მცოდნოდა...

ნაიმ ეშმაკურად გააქან-გამოაქანა თავი, ვითომ ნანობდა, ნეტა ცისფერი დამებარებინაო“.

2217 წელია. დედამიწასა და მთვარეს შორის ხელოვნური პლანეტაა, რომელზეც კოსმოსური ხომალდები სხდებიან. ადამიანები ჰაერომობილებით დადიან. მთავარ გმირსა და მის ქალიშვილს შორის კი ისეთი საუბარი იბმება, მხოლოდ საბჭოთა კავშირის მკვიდრ მამა-შვილს შორის რომ გაიმართებოდა ლეფიციტური საქონლის ეპოქაში. დაბარება. ჩამოტანა. „სულ გაყიდული იყო“.

„ჩიბუხი გაეჩაღებინა და ზედიზედ ქაჩავდა“, – ესეც ამავე მოთხრობიდანაა. ესეც 2217 წლის ამბავია.

რატაც ხომ უნდა იყოს უცვლელი სამყაროში, რასაც არასდროს დაემუქრება მცირე საფრთხეც კი? ერთი ავტორისთვის ეს კონიაკი „გრემია“, მეორისთვის – ჩიბუხი. სხვას სხვა რამ აქვს შემონახული ჩემნაირი მკითხველისთვის, რომელიც სიტყვებს დასდევს, რომლის სიხარული და თავბრუსხვევაც ამ დევნაშია.

მე-20 საუკუნის ქართული ფანტასტიკური მოთხრობების კითხვა უცნაურ თავშექცევად გადამექცა. მოგზაურობად დროში, ენაში.

„- ეჰე, გუა ჯაფარიძე, ასე თუ გააგრძელე, კარგი დახლი დაგიდგება! – ხმამაღლა შევეხმიანე საკუთარ თავს“ (ზაალ ტაბალუა, „მუტანტები“).

შეძახილი – დასასრულისთვის.